ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“

სხდომის ოქმი N3

სხდომის ჩატარების დრო: 2026 წლის 8 აპრილი, 13:00 სთ.
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის II სართულზე არსებული სხდომათა დარბაზი, ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზირი N3.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ევროპელი სოციალისტების" მე-3 სხდომას უძღვება ფრაქცია "ევროპელი სოციალისტების" თავმჯდომარე **ბატონი იოსები კუჭავა.**

სხდომას ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ წევრები: **იოსები კუჭავა, შოთა ჯიშკარიანი, თამთა ბაკურაძე.**

სულ: 3 წევრიდან - 3 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ დირექტორი, **ბატონი თენგო არსენიძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარემ, **ბატონმა იოსებ კუჭავამ:** მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ სხდომას. დღის წესრიგი და მასალები ფრაქციის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარემ, ბატონმა იოსებ კუჭავამ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი თენგო არსენიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“

დირექტორი

2. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :
დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების' თავმჯდომარე ბატონი იოსები კუჭავა: დღეს ვატარებთ ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების" მორიგ სხდომას, წარმოდგენილი დღის წესრიგის თანახმად, პირველი საკითხი ეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" სამსახურის, 2025 წლის განმავლობაში გაწეულ სამუშაო ანგარიშს და 2026 წელს დაგეგმილ ღონისძიებებს. დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ, **ბატონ თენგო არსენიძეს.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" დირექტორი, **ბატონი თენგო არსენიძე:** მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" მიერ 2025 წელს 12 თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ:

2025 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 9 150 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 350 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 9 081 998,95 ლარი და 1 219 442,06 ლარი საკუთარი სახსრებიდან. ასევე მიმდინარე წელს ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო საპილოტე პროგრამა „უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციის მართვა" გეგმით 545 500 ლარი. აქედან ორგანიზაციამ გამოიყენა 535 948,61 ლარი.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებს" 2024 წლის საკუთარი სახსრების ბიუჯეტიდან გადმოყვა 316 877,34 ლარი. დამატებით მიიღო 1 485 973,19 ლარის შემოსავალი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 54 643,36 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 865 462 450,0 m^2 ქალაქის ქუჩები. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამდენჯერმე თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 25,2 ტონა ტექნიკური მარილი და 199,56 m^3 ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 321 შეკვრა მუყაო. 2024 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 39 შეკვრა მუყაო და 33 შეკვრა პლასტმასი. აქედან 262 შეკვრა მუყაო გაიყიდა. ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლის სახით მიიღო 42 195,40 ლარი.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურს 2024 წლიდან გადმოყვა 91,7 ტონა დაქუცმაცებული ნედლეული და 29,5 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი. 2025 წელს ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვით და სხვლა-ფორმირებით და მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად გადამუშავდა 67,9 ტონა კომპოსტირებული მასალა (დაქუცმაცებული ნედლეული). აქედან 111,2 ტონა გაიცრა და

41,7 ტონა გადავიდა მზა პროდუქციაში. ორგანიზაციის მარაგშია 71,2 ტონა ორგანული სასუქი .

გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 512 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 147 ძირი ხე. საშეშე მერქნით დაკმაყოფილდა 131 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 290 დაგეგმილი სამუშაო.

უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 1048 ძაღლი, 30 ლეკვი და 59 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 38 ძაღლი, 30 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 59 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 116 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 15 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 977 ძაღლს, აიცრა 982 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 944 ძაღლი. საპილოტე პროგრამის ამოქმედებით თავშესაფარში შემოიყვანეს 5055 ძაღლი, ოპერაცია ჩაუტარდა 5028 ძაღლს, ვაქცინაცია და რევაქცინაცია ჩაუტარდა 4944 ძაღლს, ბუნებრივად გარდაიცვალა 1 ძაღლი, ბუნებრივ არეალში დაბრუნდა 5054 ძაღლი.

მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 1 118 772,0 $მ^2$ ტერიტორია. დეზინსექცირდა სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა 58 836,0 $მ^2$ ფართობი და 128 კრაზანის ბუდე, დეზინფექცირდა 799 839 $მ^2$, ასევე შეიწამლა 1 659 სველი წერტილი. ქვეწარმავლების დასაფრთხობად შეიწამლა 38 314,0 გრძივი მეტრი ტერიტორია. ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლის სახით მიიღო 30 589,59 ლარი

გაიწმინდა - 33 640 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 3726 ჭას და ცხაურს, აღდგა 38 ცხაური, დამონტაჟდა 28 და ჩაისვა 17 ჭის თავი, ბალახისაგან გაითიბა - 1 147 640 $მ^2$ ფართობი. დემონტაჟი გაუკეთდა და აღდგა 18 საბავშვო ატრაქციონი, ასევე 12 საფეხბურთო მოედანი და 3 სავარჯიშო ტრენაჟორი, აღდგა 6 დაზიანებული შესასვლელი ლითონის კარი, ღობე, კიბის მოაჯირი. შესრულდა - 511 სხვა დამატებითი სამუშაო. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 1139.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე **ბატონი იოსები კუჭავა:** რაც შეეხება მიუსაფარი ცხოველების საკითხს, დღეს ძალიან აქტუალურია ეს თემა და გთხოვთ, დააზუსტოთ, რა ეტაპებს გადიხართ მიუსაფარი ცხოველების შემთხვევაში. ასევე მაინტერესებს, თქვენ ახსენეთ ევთანაზია, რა შემთხვევაში არის ამის საჭიროება ?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ დირექტორი, **ბატონი თენგო არსენიძე:** მოგახსენებთ, ჩვენთან უშუალოდ ამ პროცესში მონაწილეობდა „სურსათის უვნებლობა“, მათ ჰყავთ სპეციალური დამჭერი ჯგუფები, რის შემდეგაც მოჰყავდათ ჩვენთან. ამის შემდგომ ჩვენი სამსახური ახორციელებდა სტერილიზაციას, ვაქცინაციას ან რევაქცინაციას, დაკვირვებას. საბოლოოდ უბრუნდებოდნენ „სურსათის უვნებლობას“, ისინი კი თავად უზრუნველყოფდნენ იმავე არეალში ან ახლო ლოკაციაზე დაბრუნებას. მათ აქვთ სპეციალური ყვითელი საიდენტიფიკაციო ნიშანი, რომლებიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციებს: როდის იქნა შემოყვანილი, რა ჩაუტარდა ა.შ რაც შეეხება ევთანაზიას, აკეთებს ვეტერინარი და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ძაღლს აქვს: ცოფი, ლეიშმანიოზი, არის აგრესიული და არ არის გარემოსთვის უსაფრთხო(ამისთვის არის სპეციალური კომისია, სადაც არიან ვეტ. ექიმები და კინოლოგები, რომლებიც დადებენ შესაბამის დასკვნას, დაკვირვების შედეგად). დანარჩენ შემთხვევებში ჩვეულებრივ ბრუნდებიან იმავე, ან მიახლოებულ არეალში. ასევე იგეგმება ძაღლების დაჩიპვა, რომლებიც გამიჯნულნი იქნებიან მიუსაფარი ძაღლებისგან, რომელთაც აქვთ ყვითელი საიდენტიფიკაციო ნიშანი. დაჩიპული ძაღლის დაკარგვის შემთხვევაში, მოხდება სპეციალური ხელსაწყოს საშუალებით ჩიპზე დანათება და მოხდება მისი მეპატრონის იდენტიფიცირება. თუ მას არ ექნება განცხადებული ძაღლის დაკარგვის თაობაზე, ამ შემთხვევაში იქნება ფულადი ჯარიმა.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ **წევრი ქალბატონი თამთა ბაკურაძე:** საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება ზამთრის სამზადისთან და მძიმე ტექნიკასთან დაკავშირებით, მოგეხსნებათ, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ჩვენი ქალაქისთვის სწორედ ეს საკითხია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ დირექტორი, **ბატონი თენგო არსენიძე:** ზამთარს ჩვენ შევხვდებით 3 ახალი ტექნიკით: ერთ ერთეული „თოვლმწმენდი“, ერთი ერთეული „გრეიდერი“ და დამატებით დიდი მოცულობის ერთ ერთეულ „თოვლმყრელს“. მოვახდინეთ ხარვეზების იდენტიფიცირება, გვაქვს ხელშეკრულებები და მოხდება მათი განახლება. შედეგად ზამთრის პერიოდს შევხვდებით სრულ მზადყოფნაში. ყველაზე დიდი პრობლემა იყო ავტოტექნიკა და

მთლიანად მოხდა ავტოპარკის გადახალისება, ასევე პრობლემა ნაგავშემკრები ურნები და ეტაპობრივად ეს პრობლემაც აღმოიფხვრება, შევალთ ყველა ქუჩაში, ყველა უბანში და ჩავანაცვლებთ ახლით.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ **წევრი ბატონი შოთა ჯიშკარიანი:** რა სიტუაციაა მომუშავე პერსონალის მხრივ, შეივსო თუ არა დეფიციტი. კარგი იქნება თუ შეეხებით ხელფასების ნაწილს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ დირექტორი, **ბატონი თენგო არსენიძე:** მოგახსენებთ, მერიის ხელშეწყობით გაიზრდა ხელფასები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ფაქტობრივად, გადამწყვეტი როლი ითამაშა, რადგან გაიზარდა თანამშრომლების რაოდენობა. ამ ეტაპზე ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. რაც შეეხება ხელფასების ნაწილს, ნაგავმზიდის მუშებს მოემატათ 20% და ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 1 260 ლარს; ასევე მოემატათ სპეც. მანქანის მძღოლებს; მეეზოვეებს გაეზარდათ 15%-ით და ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 1 004ლარს, არიან მეეზოვეები, რომლებიც დღეში 2-ჯერ მუშაობენ, დილით და საღამოს და გამოიმუშავებენ მეტს, ვიდრე მეეზოოვეები, რომლებიც მხოლოდ დღეში 1-ხელ მუშაობენ. კვირაში აქვთ 1 დასვენების დღე, ასევე გვყავს მობილური ჯგუფი, რომლებიც განაწილებულნი არიან საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა უბნებზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე **იოსები კუჭავა:** თუ დამატებითი შეკითხვები არ გვაქვს, გადავიდეთ კენჭისყრაზე „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“ - ანგარიშის შეფასების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 3,

მოწინააღმდეგე — 0,

თავი შეიკავა — 0.

დადგინდა: ღია კენჭისყრის შედეგად, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“ - წარმოდგენილ საკითხს ფრაქცია „ევროპელმა სოციალისტებმა“ მხარი დაუჭირა და სამსახურის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტების“ მე-3 სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“

თავმჯდომარე იოსები კუჭავა